საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/132

18 მარტი 2019წ.

ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-08/37 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 იანვრის №06-01/02 დადგენილების, „ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 14 იანვრის №01-02/03 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის და სტუდენტის განცხადების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის ი. ქერქაძის 2019 წლის 18 მარტის MES 7 19 00317845 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-08/37 ბრძანების დანართი 1-ში შევიდეს ცვლილება და დაემატოს 77-ე გრაფის სახით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტი გიორგი მუკბანიანი.

N	სტუდენტის სახელი გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	სწავლების საფეხური	აღიარებული კრედიტები	მობილობის შედეგი		სწავლის სემესტრი	სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება	სწავლის საფასური
					ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი)	საგანმანათლებლო პროგრამა			
77	გიორგი მუკბანიანი		ერთსაფეხურიანი	73	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	მედიცინა	IV	01-09/442 03.08.2017	2250 ლარი

2. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, 3 სამუშაო დღის ვადაში წარდგენილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს გიორგი მუკბანიანს და განთავსდეს მის პირად საქმეებში.

4. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს).

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში